

## ზეგანაკვეთური სამუშაოს საინფორმაციო ფურცელი ინდივიდუალური პროვაიდერებისთვის

წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი განკუთვნილია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ინდივიდუალურ პროვაიდერებს, გაერკვნენ სამუშაო კვირის ლიმიტისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს წესებში. დაუკავშირდით კლიენტის პრობლემის სპეციალისტს ან ეწვიეთ ბმულს: [www.dshs.wa.gov/altsa/IPOT](http://www.dshs.wa.gov/altsa/IPOT) დამატებითი ინფორმაციისთვის.

### ზოგადი ინფორმაცია ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ

#### 1. რა არის "სამუშაო კვირა"?

საუშაო კვირა იწყება კვირას, 00:00 საათზე (შუალამე) და მთავრდება მომდევნო კვირას, 23:59 საათზე.

#### 2. რა არის "სამუშაო კვირა"?

WWL არის მომსახურების საათების სრული რაოდენობა, რაც შეიძლება იმუშაოთ სამუშაო კვირაში. ვაშინგტონის 2016 წლის სახელმწიფო კანონის თანახმად, დაწესდა ლიმიტი საათების რაოდენობაზე, რომლის განმავლობაშიც შეიძლება იმუშაოს ინდივიდუალურმა პროვაიდერმა (IP), სამუშაო კვირაში. ყველა IP-ს აქვს სამუშაო კვირის ლიმიტი (WWL). თქვენ შეგიძლიათ, იმუშაოთ სამუშაო WWL-ის ფარგლებს გარეთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საათები გამოყოფილია თქვენთვის, ერთი ან მეტი კლიენტის მიერ და თუ კლიენტი, რომელთანაც მუშაობთ, უფლებამოსილია, მიიღოს საათები. კლიენტმა შეიძლება არ გამოყოს მათ დახმარების გაწევის გეგმაში განსაზღვრულ ყოველთვიურ საათებზე მეტი. WWL-ები მხარს უჭერს ზეგანაკვეთური სამუშაოს ღირებულების კონტროლს, იმ მომსახურებების დაფინანსების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ხელმისაწვდომი რჩება მათთვის, ვისაც ეს სჭირდება.

#### 3. როგორ განსაზღვრავს სოციალური და ჯანდაცვის მომსახურებების დეპარტამენტი (DSHS) ჩემს მუდმივ WWL-ს და როგორ შევითვალვარებ ჩემი მუდმივი WWL-ის შესახებ?

სახელმწიფო კანონი 2016 წლის აპრილში მიიღეს. ამ კანონის თანახმად, დაწესდა 40-საათიანი WWL, ყველა IP-თვის, იმათ გარდა, რომლებმაც იმუშავეს კვირაში საშუალოდ 40 საათზე მეტი, 2016 წლის იანვარში. 40 საათზე მეტი WWL განსაზღვრა IP-ის 2016 წლის იანვრის ანაზღაურებული მომსახურების საათების გაყოფით 4.33-ზე და მისი უახლოესი საათის მეოთხედამდე დამრგვალებით. 2016 წლის მაისში, DSHS-მ IP-ებს, რომლებიც მუშაობდნენ 2016 წლის იანვარში, ფოსტით მიაწოდა ინფორმაცია თავიანთი WWL-ების შესახებ. არც ერთი მუდმივი WWL არ უნდა აჭარბებდეს 65 საათს. თუ თქვენ დაიწყეთ IP-ად მუშაობა, 2016 წლის იანვრის შემდეგ, თქვენი WWL შეადგენს 40 საათს.

#### 4. როგორ მოვიქცე, თუ ვფიქრობ, რომ ჩემი WWL არასწორად იქნა განსაზღვრული?

თუ ფიქრობთ, რომ თქვენი WWL არასწორადაა განსაზღვრული, შეგიძლიათ გაუგზავნოთ მოთხოვნა კლიენტის პრობლემის სპეციალისტს და DSHS განიხილავს თქვენს საათებს ვაშინგტონის ადმინისტრაციული კოდების 388-114-0050-ის მიხედვით.

#### 5. შეიცვლება თუ არა ჩემი მუდმივი WWL?

თუ თქვენი მუდმივი WWL არის 60,25-დან 65 საათამდე, ის შეგიძირდება 60 საათამდე, 2017 წლის 1 ივლისს, თუ არ მოხდება კანონში ცვლილების შეტანა. სხვა მხრივ, მუდმივი WWL არ შეიცვლება იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც IP-ად იმუშავეთ. თქვენი WWL ასევე უცვლელი დარჩება, თუ გაქვთ წყვეტა მომსახურებაში და შემდგომ კვლავ დაუბრუნდით ამ საქმიანობას.

#### 6. რა მომსახურებები შედის მომსახურების საათებში, ჩემს WWL-ში?

- პერსონალური მოვლა
- მოვლა მდგომარეობის შემსუბუქებისთვის
- უნარების შეძენის ტრენინგი
- დროებითი მოვლა

#### 7. ვრცელდება თუ არა ჩემი WWL მგზავრობის დროზე, DSHS-ის მიერ მოთხოვნილ ტრენინგსა ან ანაზღაურებად შვებულებაზე (PTO)?

არა. თქვენი WWL არ მოიცავს მგზავრობის დროს, DSHS-ის მიერ მოთხოვნილ ტრენინგსა და PTO-ს. ეს ნიშნავს იმას, რომ შეგიძლიათ, იმუშაოთ თქვენს WWL-ის ფარგლებში და შეასრულოთ კლიენტისთვის საჭირო საქმიანობა, იმ კვირებშიც კი, როცა გაქვთ მოთხოვნილი ტრენინგი, დამტკიცებული სამგზავრო დრო ან აღებული გაქვთ PTO.

## ზეგანაკვეთური სამუშაოს საინფორმაციო ფურცელი ინდივიდუალური პროვაიდერებისთვის

### ზეგანაკვეთური სამუშაოს (OT) ანაზღაურება

#### 8. როგორ გაიანგარიშა ჩემი OT-ს ანაზღაურება?

თქვენ გადაგიხდიან რეგულარულ ხელფასს, მთელი დროისთვის, რასაც იმუშავებთ 40 საათის ფარგლებში, სამუშაო კვირაში. მთელი დამატებითი დროისთვის, რომელსაც იმუშავებთ 40 საათის ზევით, თქვენ გადაგიხდიან 1,5-ზე მეტს, თქვენს რეგულარულ ხელფასთან შედარებით. IPOne-ის გადახდის სისტემა იხდის სამუშაო კვირაში თქვენ მიერ ნამუშევარი საათების სრულ რაოდენობას, თქვენს რეგულარულ ხელფასში (შემდგომში წოდებული, როგორც "სრული ტარიფი"). ის აჩვენებს OT-ს, როგორც დამატებით 1/2 ტარიფს, OT საათებისთვის. ეს ჯამური მაჩვენებლები იკრიბება საბოლოო გადახდისთვის.

მაგალითი:

თქვენ იმუშავებთ 45 საათი სამუშაო კვირაში და თქვენი რეგულარული ტარიფი არის 12 დოლარი საათში.

თქვენი ანაზღაურება იქნება:

$$45 \text{ საათი} \times \$12 \text{ საათში (სრული ტარიფი)} = \$540$$

$$+ 5 \text{ საათი ზეგანაკვეთური სამუშაო} \times \$6 \text{ (ნახევარი ტარიფი)} = \$30$$

$$\text{სულ } \$540 + \$30 = \$570$$

OT ნაჩვენებია გადახდის უწყისის აღწერაში და დეტალურადაა მოცემული გამომუშავების ნაწილში. ამ მაგალითში, გამომუშავების ნაწილი ნაჩვენებია იქნება პერსონალური მოვლის 45 საათი და 5 OT საათი.

#### 9. გადამიხდიან თუ არა OT-ს საზღაურს მგზავრობის დროის, DSHS-ის მიერ მოთხოვნილი ტრენინგის ან ანაზღაურებადი შევსებებისთვის (PTO)?

თქვენ გადაგიხდიან OT-ს საზღაურს მგზავრობის დროისა და DSHS-ის მიერ მოთხოვნილი ტრენინგისთვის, თუ თქვენ მიერ კვირის განმავლობაში ნამუშევარი საათების რაოდენობა 40-ს აჭარბებს. PTO საათები არ ითვლება ნამუშევარ საათებად, ასე რომ, მათზე OT-ს ანაზღაურება არ ვრცელდება.

### ინფორმაცია იპ-ებისთვის, რომლებსაც აქვთ პერმანენტული 40-საათიანი WWL?

#### 10. შემიძლია თუ არა, ვიმუშაო 40 საათზე მეტი, სამუშაო კვირაში?

თქვენ შეგიძლიათ, იმუშაოთ არაუმეტეს 40 მომსახურების საათისა, სამუშაო კვირაში, თუ არ მიიღებთ კლიენტის სპეციფიკურ დადასტურებას, DSHS-ისგან, დროებით იმუშაოთ 40 საათზე მეტი.

#### 11. შემიძლია თუ არა, ვიმუშაო ჩემს მუდმივ WWL-ზე მეტი, თუ რამდენიმე კლიენტისთვის ვიმუშავებ?

თქვენ უნდა გაანაწილოთ კლიენტის მომსახურების ყველა საათი თქვენი მუდმივი WWL-ის ფარგლებში, იმის მიუხედავად, თუ რამდენ კლიენტთან მუშაობთ. თუ მუშაობთ ერთზე მეტ კლიენტთან, თქვენი დრო უნდა დაგეგმოს თითოეულ მათგანთან, იმის უზრუნველსაყოფად, რომ როცა თქვენს მომსახურების საათებს შეკრებით, ნამუშევარი მუდმივ WWL-ზე მეტი არ გამოვივლიდეთ.

#### 12. როგორ მოვიქცე, თუ კლიენტს, რომელთანაც ვმუშაობ, სურს, ვიმუშაო იმაზე მეტი საათის განმავლობაში, ვიდრე ხელმისაწვდომია ჩემი მუდმივი WWL-ის ფარგლებში?

- აუხსენით, რომ თქვენ უფლება არ გაქვთ, იმუშაოთ თქვენს WWL-ზე მეტი და რომ ამის გაკეთება დროის გადაჭარბების მოთხოვნად ითვლება. გადაჭარბების მოთხოვნის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ #19
- არ მიიღოთ დავალებები, რომლებიც გამოიწვევს, რომ იმუშაოთ თქვენს WWL-ზე მეტი.
- ურჩიეთ კლიენტს, ისარგებლოს დამატებითი პროვაიდერის მომსახურებით.
- ურჩიეთ კლიენტს, დაუკავშირდეს თავის პრობლემის სპეციალისტს, თუ მას უჭირს თქვენი ლიმიტის გაგება, ან ვერ შოულობს დამატებით პროვაიდერს.
- გადაუდებელი და სასწრაფო საჭიროებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ #18, მე-3 გვერდზე.

## ზეგანაკვეთური სამუშაოს საინფორმაციო ფურცელი ინდივიდუალური პროვაიდერებისთვის

ინფორმაცია IP-ებისთვის, რომლებსაც აქვთ პერმანენტული 40,25-საათიანი ან მეტი WWL?

**13. შემიძლია თუ არა, ვიმუშაო 40 საათზე მეტი, სამუშაო კვირაში?**

თუ თქვენ მიიღეთ წერილობითი შეტყობინება DSHS-ისგან, რომ თქვენი WWL 40 საათზე მეტია, ან თქვენი დროებითი კლიენტის სპეციფიკური WWL-ის გაზრდა დადასტურდა, შეგიძლიათ, იმუშაოთ შეტყობინებაში მითითებული საათების განმავლობაში.

**14. როგორ მოვიქცე, თუ ერთზე მეტ კლიენტთან ვმუშაობ?**

იხილეთ პასუხი კითხვა #11-ზე.

**15. როგორ მოვიქცე, თუ კლიენტს, რომელთანაც ვმუშაობ, სურს, დაგარეგულირო ჩემი საათები, რომ ვიმუშაო ჩემს WWL-ზე მეტი, კვირაში?**

თქვენ შეგიძლიათ, დაარეგულიროთ თქვენი საათები, თუ ქვემოთ მითითებული სწორია:

- კლიენტს აქვს ამის საჭიროება;
- დამატებითი საათები არ გადააჭარბებს კლიენტის ყოველთვიურად საჭირო შეფასებულ საათებს;
- ერთ კვირაში ზედმეტად მუშაობა არ გამოიწვევს იმას, რომ კლიენტი აუცილებელი მოვლის გარეშე დარჩება სხვა კვირებში ან თვეში; და
- ერთ კვირაში ზედმეტად მუშაობა არ გამოიწვევს იმას, რომ თქვენ სხვა დროსაც იმუშაოთ ზეგანაკვეთურად, თვეში, ვიდრე მოგიწევდათ იმ შემთხვევაში, თუ იმუშავებდით თქვენი WWL-ის შესაბამისად, იმ თვის ყველა კვირაში.

როცა თქვენი WWL 40 საათს აჭარბებს, შეგიძლიათ, თქვენი საათები საჭიროებისამებრ დაარეგულიროთ, იმდენად, რამდენადაც თქვენ არ შეასრულებთ იმაზე მეტ ზეგანაკვეთურ სამუშაოს თვეში, ვიდრე ჩვეულებრივ მუშაობთ. ყოველთვიური ზეგანაკვეთური სამუშაოს საათების რაოდენობა იანგარიშება 40 საათის გამოქვითვით თქვენი WWL-დან და ნაშთის გამრავლებით იმ თვის შაბათი დღეების რაოდენობაზე.

მაგალითი:

*ხოხეს სკლ არის 46 საათი ყოველთვიური ზეგანაკვეთური სამუშაო საათების რაოდენობა*

*დამოკიდებულია მისი სამუშაო თვის შაბათი დღეების რაოდენობაზე.*

*განგარიშება 5 შაბათი დღის მიხედვით:  $46 - 40 = 6 \times 5 = 30$*

*განგარიშება 4 შაბათი დღის მიხედვით:  $46 - 40 = 6 \times 4 = 24$*

*კლიენტს, რომელთანაც ხოხე მუშაობს, სჭირდება, რომ მან იმუშაოს მოქნილი გრაფიკით, თვის განმავლობაში, რისი გაკეთებაც ხოხეს შეუძლია, რადგან ის არ მუშაობს 30 საათზე მეტი ზეგანაკვეთური დროის განმავლობაში, თვეში, რომელშიც 5 შაბათია, ან 24 საათზე მეტი ზეგანაკვეთური დროის განმავლობაში, თვეში, რომელშიც 4 შაბათია.*

თქვენ ასევე შეგიძლიათ თქვენი საათების დაარეგულიროთ, რომ იმუშაოთ თქვენს WWL-ზე მეტი, თუ კლიენტი, რომელთანაც მუშაობთ, შეიძენს დამატებით ზეგანაკვეთურ საათებს, თავისი "ახალი თავისუფლების" ან "სახლში მოვლის მითითებული მომსახურებების" ბიუჯეტიდან.

**16. როგორ მოვიქცე, თუ კლიენტს, რომელთანაც ვმუშაობ, სურს, ვიმუშაო იმაზე მეტი მთელი ყოველთვიური ზეგანაკვეთური საათის განმავლობაში, ვიდრე ხელმისაწვდომია ჩემი მუდმივი WWL-ის ფარგლებში?**

იხილეთ პასუხი კითხვა #12-ზე.

**დროებითი კლიენტის სპეციფიკური სამუშაო კვირის ლიმიტი (CSWWL)**

**17. რა არის დროებითი CSWWL?**

კლიენტმა, რომელთანაც მუშაობთ, შეიძლება სთხოვოს DSHS-ს, დროებით გაზარდოს თქვენი WWL, სანამ ის ეძებს დამატებით პროვაიდერს, რომელიც მის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. DSHS გიპასუხებთ ფოსტით, წერილობითი დადასტურებით ან უარყოფით. დადასტურების შემთხვევაში, შეტყობინებაში მითითებული იქნება დადასტურების დაწყებისა და დასრულების თარიღები და დადასტურებული საათების რაოდენობა. კლიენტი, რომელთანაც მუშაობთ, ასევე მიიღებს მის ასლს. ეს მოთხოვნა/წერილობითი შეტყობინება ასევე ცნობილია, როგორც CSWWL მოთხოვნა. DSHS არ დადასტურებს დროებით სკლ-ს, რომელიც აჭარბებს კლიენტის განსაზღვრულ ყოველთვიურ საათებს.

## ზეგანაკვეთური სამუშაოს საინფორმაციო ფურცელი ინდივიდუალური პროვაიდერებისთვის

### გადაუდებელი საჭიროებები

**18. როგორ მოვიქცე, თუ ნამუშევარი მაქვს ყველა საათი ჩემი WWL-ის ფარგლებში, მაგრამ კლიენტს აქვს გადაუდებელი და დაუყოვნებელი საჭიროება და უნდა გავაგრძელო მუშაობა კლიენტის ჯანმრთელობისა თუ უსაფრთხოების ხელშესაწყობად?**

- დარჩით კლიენტთან, სანამ სიტუაცია უსაფრთხო და სტაბილური არ გახდება.
- გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდით 9-1-1-ს.
- დაასრულეთ სამუშაო დღე, როგორც კი ამის გაკეთება უსაფრთხო გახდება.
- დაუკავშირდით პრობლემის სპეციალისტს, მომდევნო სამუშაო დღისთვის, რათა განუმარტოთ სიტუაცია.

### გადაჭარბების მოთხოვნა

**19. რა არის გადაჭარბების მოთხოვნა?**

გადაჭარბების მოთხოვნა ხდება, როცა:

- თქვენ მუშაობთ თვეში იმაზე მეტი საათის განმავლობაში, ვიდრე ნებართვა გაქვთ;
- თქვენ მუშაობთ თქვენს WWL-ზე მეტი საათის განმავლობაში, რაც არ არის დადასტურებული DSHS-ის მიერ; ან
- ითხოვთ იმაზე მეტ მგზავრობის დროს, ვიდრე ნებადართულია, სამუშაო კვირაში.

**20. რა არის შეტყობინება საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით?**

შეტყობინება საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით არის DSHS-ის მიერ თქვენთვის გამოგზავნილი შეტყობინება. შეტყობინება გაცნობებთ, რომ თქვენ შეასრულეთ ან გამოიყენეთ დადასტურებულზე მეტი ზეგანაკვეთური სამუშაო ან მგზავრობის საათები.

**21. რა მოხდება, თუ ვიმუშავებ ჩემს WWL-ზე ან მოგზავრობის დროს ლიმიტზე მეტს?**

- ყოველი გადაჭარბების მოთხოვნისას, თქვენ მიიღებთ წერილობით შეტყობინებას საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით და ინფორმაციას DSHS-გან, რომელიც შეგახსენებთ, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ არ იმუშაოთ დაუდასტურებელი ზეგანაკვეთური დროის განმავლობაში. შეტყობინება ასევე გაეგზავნება კლიენტ(ებ)ს, ვისთანაც მუშაობთ, და მათ წარმომადგენლებს.
- გადაჭარბების მოთხოვნის მესამე შემთხვევაში, შეიძლება შეწყდეს თქვენი კონტრაქტი ან ჩამოგერთვით ანაზღაურების მიღების უფლება 90 დღის განმავლობაში. თქვენი კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში, უნდა დაიცადოთ 90 დღე, სანამ მოგცემენ ახალი კონტრაქტის გაფორმების უფლებას.
- თუ თქვენ მეტისმეტად ან სისტემატიურად გადაჭარბებთ თქვენი სამუშაო კვირის ან მგზავრობის დროის ლიმიტს, DSHS-მა შეიძლება შეგიწყვიტოთ კონტრაქტი, დარღვევის გამო, და უარი თქვას თქვენთან ხელახალი კონტრაქტის გაფორმებაზე.

**22. რამდენ ხანს დარჩება შეტყობინება საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, ჩემს საკონტრაქტო დოსიეში?**

ყველა შეტყობინება საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით ღია დარჩება 12 თვის განმავლობაში, მისი გაცემის თარიღიდან. 12 თვის შემდეგ, შეტყობინება საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით დაიხურება.

**23. როგორ ავიცილო თავიდან შეტყობინება საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით?**

- ყოველთვის წინასწარ დაგეგმეთ თქვენი სამუშაო განრიგი და ჩაიწერეთ.
- თუ კლიენტს სჭირდება ცვლილება და თქვენ გიწევთ სხვა განრიგით მუშაობა, რაც მოქმედებს თქვენს WWL-ზე, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით კლიენტის პრობლემის სპეციალისტს.
- აღრიცხეთ თქვენი მუშაობის დრო თქვენს დროის განრიგის ცხრილში, ყოველი სამუშაო დღის შემდეგ; შესაძლოა, დაგეხმაროთ ქალაქის კალენდარზე აღრიცხვაც. აღნიშვნა ხშირად გააკეთეთ, რათა დარწმუნდეთ, რომ თქვენი WWL-ის ფარგლებში მუშაობთ.
- DSHS-ს აქვს ხელმისაწვდომი რესურსები, რათა დაგეხმაროთ თქვენ და თქვენს დამპირავებელს/კლიენტს, გაიგოთ მეტი თქვენი განრიგის მართვის შესახებ, რათა იმუშაოთ თქვენი WWL-ის ფარგლებში. ეს რესურსები ხელმისაწვდომია მისამართზე: [www.dshs.wa.gov/altsa/IPOT](http://www.dshs.wa.gov/altsa/IPOT).